

პროგრამაში მონაწილეობის პროცედურა:

პროგრამაზე დარეგისტრირება შესაძლებელია ჩვენი ონლაინ-პორტალის მეშვეობით. ამისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს

www.europa-uni.de/viadrinafasttrack

და მიჰყევით ინსტრუქციას. პირველ რიგში უნდა **დარეგისტრირდეთ** ჩვენს ონლაინ პორტალზე. რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემდეგ ელ-ფოსტის მეშვეობით მიიღებთ აქტივაციის ბმულს, რომელზე გადასვლის შემთხვევაში შეძლებთ პაროლის დაყენებას, შემდეგ კი ონლაინ-აპლიკაციის შევსების დაწყებას.

შეასეთ **ონლაინ-აპლიკაცია** სრულყოფილად და ატვირთეთ შემდეგი **საბუთები**:

- სამოტივაციო წერილი
- გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის), რომელიც გაცემულია ბოლო 6 თვის განმავლობაში
- რეზიუმე (CV)
- პასპორტის ასლი (პირველი გვერდი პირადი მონაცემებით)
- ბიომეტრიული ფოტოსურათი

სრულყოფილად შევსებული აპლიკაციის (თანდართულ ზემოთ აღნიშნულ საბუთებთან ერთად) გამოგზავნის შემდეგ, მიიღებთ თქვენს განაცხადს pdf-ფორმატში, რომელიც უნდა ამოიბეჭდოთ, მოაწეროთ ხელი, დასაკანეროთ და გამოგვიგზავნოთ pdf-ფორმატით არა უგვიანეს **10.01.2018-ისა** ელექტრონულ მისამართზე:

fast-track@europa-uni.de

თუკი ზემოთ აღნიშნული თანმიმდევრობა არ იქნება დაცული, განაცხადი არ ჩაითვლება სრულყოფილად!

წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე შერჩეული კანდიდატები მიიღებენ მოწვევას გამოცდა **TestAS**-ის ჩასაბარებლად (ღირ. დაახლ. 80 ევრო). გამოცდები „Geistes-, Kultur- und Gesellschaftswissenschaften“ (კულტურული მეცნიერებებისთვის) და „Wirtschaftswissenschaften“ (ეკონომიკის ფაკულტეტისთვის) ჩატარდება **2018 წლის 27 თებერვალს**.

გამოცდა TestAS-ის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, 2018 წლის აპრილის დასაწყისში ჩატარდება გაცნობითი ხასიათის გასაუბრება (მაგ.:Skype-ით), რის შემდეგაც გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროგრამაში Viadrina Fast Track.



Viadrina Fast Track

კულტურული მეცნიერებები
და ეკონომიკა

EUROPA-UNIVERSITÄT VIADRINA FRANKFURT (ODER)

საკონტაქტო ინფორმაცია:

სერგეი მელჰერ (Sergei Melcher)

პროგრამის Viadrina Fast Track
კოორდინატორი

ტელ.: +49 335 5534 2865
ელ. ფოსტა: fast-track@europa-uni.de

ოლექსი ისაკოვ (Oleksii Isakov)

პროგრამის Viadrina Fast Track
ასისტენტი

ტელ.: +49 335 5534 4237
ელ. ფოსტა: fast-track@europa-uni.de

Europa-Universität Viadrina
Große Scharnstraße 59
15230 Frankfurt (Oder)
Deutschland

დამატებითი ინფორმაცია და ონლაინ პორტალის ბმული განაცხადის შესავსებად შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებ-გვერდზე:

www.europa-uni.de/viadrinafasttrack

პროექტის მხარდამჭერია  Auswärtiges Amt

DAAD



სკოლიდან პირდაპირ უნივერსიტეტში

გერმანია-პოლონეთის საზღვარზე მდებარე ქალაქ ფრანკფურტში (მდ. ოდერზე) არსებული ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი ეპატიჟება ახალგაზრდებს აღმოსავლეთ ევროპიდან (ევროკავშირის ფარგლებს გარეთ), სამხრეთ კავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან **კულტურული მეცნიერებებისა** (მიმართულება - კულტურული მეცნიერებები) და **ეკონომიკის** (მიმართულებები: საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირება; ეკონომიკა&სამართალი / სამართალი&ეკონომიკა) ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლებლად 2018/19 წლის ზამთრის სემესტრიდან.

პროგრამა Viadrina Fast Track, რომელიც DAAD-სა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერაა დაფინანსებული, საშუალებას გაძლევთ, ისწავლოთ ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში კულტურული მეცნიერებებისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე სკოლის დამთავრებისთანავე. ამისათვის კი არ არის სავალდებულო ისწავლოთ კოლეჯში, ან გავლილი გქონდეთ კურსები საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში.

2018 წლის ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით მონაწილეებისთვის ჩატარდება სამთვიანი მოსამზადებელი კურსი (Propädeutikum), რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში 2018 წლის ოქტომბრიდან მონაწილეები ოფიციალურად გახდებიან ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის სტუდენტები. საუკეთესო კონკურსანტები პირველი სასწავლო წლის განმავლობაში მიიღებენ DAAD-სტიპენდიას 650 ევროს ოდენობით თვეში (12 თვე).

პირველი ორი სემესტრის განმავლობაში მონაწილეებს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს უნივერსიტეტის საერთაშორისო საქმეთა განყოფილება. სტუდენტებს საშუალება ექნებათ, პირველი სასწავლო წლის განმავლობაში გაიარონ შედარებით მცირე რაოდენობის სავალდებულო საგნები.

აპლიკაციის წარმოდგენის ბოლო ვადა: 10.01.2018



პროგრამა გულისხმობს:

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, 2018 წლის ივლისიდან სექტემბრამდე თქვენ დაესწრებით მოსამზადებელ კურსს, რომელიც მოიცავს:

- **კულტურული მეცნიერებებისთვის:** დარგობრივ მოსამზადებელ კურსებს შემდეგი დისციპლინებისთვის: კულტურის ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება და სხვა სოციალური მეცნიერებები.
- **ეკონომიკის ფაკულტეტისთვის:** დარგობრივ მოსამზადებელ კურსებს ეკონომიკაში, ბიზნესის ადმინისტრირებასა და მათემატიკაში.
- საჭიროების შემთხვევაში გერმანული ენის კურსსა და DSH-ს მოსამზადებელ კურსს,
- ინგლისური ენის კურსს,
- დამატებით საგნობრივ, მეთოდურ და კულტურათაშორის ტრენინგებსა
- და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც გერმანიაში ჩამოსვლისას ახალ გარემოსთან შეგუებაში შეგიწყობთ ხელს.

მოსამზადებელი კურსის განმავლობაში თქვენთვის უფასო იქნება ოთახი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში და სადილი უნივერსიტეტის კაფეტერიაში, 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის სექტემბრამდე DAAD-საგან მიიღებთ სტიპენდიას 650 ევროს ოდენობით. მომდევნო წლებში საშუალება გექნებათ განაცხადი შეიტანოთ სხვადასხვა სტიპენდიებზე როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

მონაწილეობის წინაპირობა:

იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ პროგრამაში Viadrina Fast Track, უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა გქონდეთ 2017 წელს გაცემული სკოლის დამთავრების ატესტატი ან იყოს აბიტურიენტი, რომელიც აღნიშნულ ატესტატს მიიღებს 2018 წელს.
- უნდა ფლობდეთ გერმანულ ენას მინიმუმ B2 დონეზე (მაგ. DSD II).
- უნდა იყოთ სულ მცირე 17 წლის 2018 წლის 1-ლი ოქტომბრისთვის.
- უნდა იყოთ დანტერესებული კულტურული მეცნიერებებით ან ეკონომიკითა და მათემატიკით.

გთხოვთ, ასევე ყურადღება მიაქციოთ შემდეგ გარემოებებს:

- C1 დონის ენის სერტიფიკატი (მაგალითად, DSD II, თუკი გამოცდის ყველა ნაწილში C1 დონე გავქვთ) გათავისუფლებთ ყოველგვარი ენის გამოცდისაგან, იმ შემთხვევაში, თუ დიპლომი აღიარებული იქნება DSH II-ის ექვივალენტად.
- B2 დონის სერტიფიკატის ქონის შემთხვევაში, 2018 წლის ივლისსა და აგვისტოში დამატებით ჩავიტარდება გერმანული ენის კურსი, სექტემბერში უნდა გაიაროთ DSH-ს მოსამზადებელი კურსი და საბოლოოდ ჩააბაროთ გამოცდა (მინიმუმ DSH II).